ბრძანება №1-18

გორი 01 04 2024წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 ოქტომბრის N6-42 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტების შერჩევის მიზნით და აღნიშნული კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული იქნას 3 პროექტი.

2. პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტების შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) კონკურსანტების მიერ განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2024 წლის - 15 აპრილი - 2024 წლის 22 აპრილი;

ბ) პროექტის განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნა - 2024 წლის 23 აპრილი - 2024 წლის 25 აპრილი;

გ) კომისიის მიერ მიერ პროექტის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება - 2024 წლის 26 აპრილი - 2024 წლის 30 აპრილი;

დ) კონკურსის შედეგების გამოცხადება - 2024 წლის 01 მაისი - 2024 წლის 02 მაისი.

3. გამარჯვებული სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტი უნდა განხორციელდეს 2024 წელს.

4. სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს რექტორის სახელზე უნივერსიტეტის კანცელარიის მეშვეობით. პროექტს თან უნდა ერთვოდეს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 ოქტომბრის N6-42 დადგენილების დანართი 3-ის შესაბამისად შედგენილი საპროექტო განაცხადის ფორმა.

5. წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება დაევალოს:

ა) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) - უნივერსიტეტის კანცელარიას;

ბ) უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

6. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი